საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

№ 56378 27 / 03 2019 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი,

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის შესახებ. აღნიშნულ ანგარიშს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **ვახტანგ გომელაური**, ხოლო საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე **გრიგოლ ლილუაშვილი**.

დანართი: 27 (ოცდაშვიდი) ფურცელი.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-მაიორი ვახტანგ გომელაური

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-6041/19
27.03.2019 წ.

საქართველო, ქ. თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72, ტელ. (+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
72, Vazha-Pshavela Avenue, Tbilisi 0186, Georgia, Tel.(+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
info@ssg.gov.ge

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

01.01.2018-31.12.2018

თბილისი

ოკუპირებული ტერიტორიები 4
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 9
კონტრდაზვერვითი საქმიანობა 12
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 16
ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა 17
ანალიტიკური საქმიანობა 19
პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი ბაზის დახვეწა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 20
უწყებათაშორისი თანამშრომლობა 22
საერთაშორისო თანამშრომლობა 23
ადამიანური, მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსური რესურსები 25

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარ მიზანს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს. აღნიშნულის ფარგლებში, სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა მიმართული იყო ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, საშინაო თუ საგარეო საფრთხეებისგან დაცვისა და ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფისკენ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს უსაფრთხოებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები; საერთაშორისო ტერორიზმის ახალი ტენდენციები; სამხედრო დაპირისპირებების ახალი კერების გაჩენის საფრთხე; თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების გაზრდილი შესაძლებლობები.

2018 წელს საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენდა რუსული ოკუპაცია, საერთაშორისო ტერორიზმი, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობა, კორუფცია და სამოხელეო დანაშაული. ზემოაღნიშნულთან ეფექტურად გამკლავების მიზნით სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო საფრთხეების იდენტიფიცირების, პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებისკენ.

საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თანაბრად იცავს ქვეყნის უსაფრთხოებას და ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. სამსახური მოქმედებს კანონიერების, სამართლის უზენაესობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით.

დაკისრებული უფლებამოსილების სათანადოდ შესრულების მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ატარებდა სწორ საკადრო პოლიტიკას და ხელმძღვანელობდა ეფექტიანი მართვის სისტემით. შესაბამისად ხორციელდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, უსაფრთხოების ოფიცრების ოპერატიული და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება. აქტიურად მიმდინარეობდა შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი კოორდინაცია, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა.

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს კვლავ წარმოადგენს ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ განთავსებული რუსული სამხედრო ძალები. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოსთვის ძირითად გამოწვევად რჩება ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი მილიტარიზაცია, ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა და რუსეთის მიერ წარმოებული არაფორმალური ანექსიის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ რუსეთის ფედერაციის მიდგომები არ შეცვლილა და კვლავ გამოიხატებოდა არაფორმალური ანექსიის პოლიტიკის გატარებაში. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ე.წ. პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები სრულად კონტროლდებოდა საოკუპაციო ძალის მიერ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ე.წ. პოლიტიკური ძალების აქტივობები მთლიანად იმიტაციურ ხასიათს ატარებდა, რადგან ადგილზე არსებული ყველა „პოლიტიკური პარტია“ თუ „გაერთიანება“ პრორუსულია, ე.წ. პოლიტიკოსების “კარიერა” კი სრულად არის დამოკიდებული რუსეთის “კეთილგანწყობაზე”.

ოკუპირებულ აფხაზეთში პროცესების სამართავად საოკუპაციო ძალა აქტიურად იყენებს ხელოვნურად შექმნილ „პოლიტიკურ-ეკონომიკურ” არასტაბილურობას და დე ფაქტო რეჟიმს მისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებს. ცხინვალის რეგიონში მოქმედი დე-ფაქტო რეჟიმი კი ღიად უჭერს მხარს ოკუპირებული ტერიტორიის რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანებას.

ანექსიის პროცესის ჭრილშია განსახილველი ე.წ. საბაჟო სამსახურების სინქრონიზაციის საკითხი. საანგარიშო პერიოდში ასევე გრძელდებოდა ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის მოქალაქეობის ფლობის წახალისება და მისი გამარტივებული წესით მიღების მექანიზმების შემუშავება.

ოკუპირებული რეგიონები ფინანსურად კვლავაც დამოკიდებული არიან რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბიუჯეტზე. არსებული მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან მიღებული პირდაპირი ფინანსური დახმარების წილმა დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 45% (64 მლნ აშშ დოლარი), ხოლო ცხინვალის რეგიონის „ბიუჯეტში“ დაახლოებით 86% (113 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა. ე.წ. ბიუჯეტების დარჩენილი წილის შევსება კი რუსეთის მიერ გამოყოფილი არაპირდაპირი ფინანსური დახმარების მეშვეობით განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის ფედერაცია კვლავ იყენებდა ოკუპირებულ რეგიონებს საკუთარი ეკონომიკური, ფინანსური და სამხედრო მიზნებისთვის. ხაზგასასმელია დე ფაქტო ლიდერების გახშირებული ვიზიტები უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში და „ურთიერთდახმარების“ მიზნით დაწყებული თანამშრომლობა (მათ

შორის, სამხედრო სფეროში). აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მსგავსად, ოკუპირებულ აფხაზეთში ოპერირება დაიწყო რუსული საბანკო სექტორის წარმომადგენლობამ, რომელსაც, დიდი ალბათობით, რუსეთის ფედერაცია უკანონო ფინანსური ოპერაციებისთვის იყენებს. ამავე პერიოდში დაიწყო ე.წ. აფხაზური საბანკო ბარათების გამოყენება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკური ურთიერთობები გააქტიურდა სირიის არაბთა რესპუბლიკასთან, რომელმაც 2018 წელს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა.

ოკუპირებულ რეგიონებში წარმოდგენილი რუსული სამხედრო კონტინგენტისა და სპეცსამსახურების აქტივობები საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების, ისე ევროპის უსაფრთხოებას.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებულ რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზებზე ხორციელდებოდა გეგმური როტაციები, შეიარაღების და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განახლება. ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობების და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა ათეულობით სხვადასხვა ტიპის სამხედრო წვრთნა.

საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმების მიერ მიზანმიმართულად მიმდინარეობდა სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვის კუთხით.

მიმდინარეობდა ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი, რაც გამოიხატებოდა მავთულხლართების, ღობეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების გავლებით, ასევე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვითა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო ძალები კვლავ აგრძელებდნენ უკანონო დაკავებებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 100, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 28 უკანონო დაკავების ფაქტი იქნა რეგისტრირებული.[1]

უკანონო დაკავებები, ე.წ. ბორდერიზაცია და თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები უხეშად არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს, აუარესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, აზიანებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და ახდენს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის იზოლაციას.

2018 წელს ნათლად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საოკუპაციო ძალა ოკუპირებულ ტერიტორიებს და იქ შექმნილ ვითარებას, მათ შორის, უკანონო დაკავებებსა და ე.წ.

---

[1] ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული პირების რაოდენობაში ცდომილება დაახლოებით 5%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ იდენტიფიცირებული უკანონო დაკავებების რაოდენობა რეალური ჯამური რიცხვის დაახლოებით 10-15%-ს შეადგენს.

ბორდერიზაციას, საქართველოში გარკვეულ საკითხებზე სამოქალაქო აზრის ფორმირებისა და ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა, მათ შორის, პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად იყენებდა.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე კრიმინოგენური ვითარება, ტოტალური კორუფცია, ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების სრული იგნორირება, დაუსჯელობის განცდა, ასევე ადგილზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საფრთხეს უქმნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა.

კვლავ მწვავედ დგას ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაციის პრობლემა, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლისა და ასიმილაციისაკენ მიმართული პოლიტიკა, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და რეგიონში დაბრუნების გამორიცხვის მიზნით მათი სახლების განადგურება.

გასული წლის განმავლობაში კვლავ მძიმე იყო ოკუპირებულ გალის რაიონში ეთნიკური ქართველების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ვითარება. გალის მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მათ შორის, საკუთრების უფლება საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმის მიერ დაწესებული არალეგიტიმური შეზღუდვებით უკიდურესად არის გაუარესებული. საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთხელ ნათლად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც გალელი ქართველების უფლებრივი მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ ეთნიკური კუთვნილების „შეცვლასთან". აღნიშნული მიზნისთვის საოკუპაციო ძალა და დე ფაქტო რეჟიმი აქტიურად იყენებენ „სამურზაყანოელი აფხაზის" გამოგონილ ცნებას და მისი დამკვიდრების მიზნით შექმნილ ე.წ. ორგანიზაციებს.

2018 წელს ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით ეთნიკური ქართველების სახლების განადგურების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული კვალის წაშლის და ქართველების საცხოვრებელი სახლების განადგურების მიზნით ოკუპირებულ ქართულ სოფელ ერედვში რუსეთის ფინანსური მხარდაჭერით ნაგავსაყრელის მოწყობის გეგმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად მოიპოვებს ინფორმაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე უკანონო პროცესების შესახებ. ხდება ამ პროცესებში ჩართული პირებისა და ე.წ. ორგანიზაციების იდენტიფიცირება. საოკუპაციო ძალის, დე ფაქტო რეჟიმების, მათ მიერ მხარდაჭერილი ე.წ. ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მიერ განხორციელებულ არაკანონიერ საქმიანობასთან და მის

შედეგებთან დაპირისპირება მიმდინარეობს საერთაშორისო მექანიზმებისა და ყველა რელევანტური ბერკეტის საშუალებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად არის ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში, სადაც სამსახური ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წამყვანი უწყებაა.

2018 წელს საქართველოს მოქალაქეების **არჩილ ტატუნაშვილის** და **გიგა ოთხოზორიას** მკვლელობებისა და **დავით ბაშარულის** გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, საოკუპაციო ძალისა და დე ფაქტო რეჟიმების მხრიდან სიმართლის დადგენისა და დამნაშავეების დასჯის მიზნით ნაბიჯები კვლავ არ გადადგმულა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იყენებს ყველა არსებულ მექანიზმს, რათა საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ მართული სახიფათო ტენდენცია, რაც IPRM-ის შეხვედრების მიზანმიმართულ დაზიანებაში გამოიხატებოდა. დე ფაქტო რეჟიმებისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა შეხვედრების დღის წესრიგიდან **გ. ოთხოზორიას, ა. ტატუნაშვილის** და **დ. ბაშარულის** საკითხების ამოღება ულტიმატუმის სახით მოითხოვეს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ IPRM-ის შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შედეგად, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით ოქტომბერსა და ნოემბერში აღნიშნული შეხვედრები არ გამართულა, ხოლო ოკუპირებულ ქ. გალში IPRM-ის ფორმატი 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ ამ დრომდე შეწყვეტილია. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ქ. გალში 6, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით (სოფელ ერგნეთში) ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 7 შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური IPRM-ის შეხვედრებს განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს საქართველოსა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნული ფორმატისა და მისი ფუნდამენტური პრინციპების წინააღმდეგ იქნება მიმართული, სამსახურის მიერ აღიქმება მიზანმიმართულ პროვოკაციად. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს IPRM-ში კონსტრუქციულ მონაწილეობას და იჩენს ძალისხმევას ქ. გალის შეხვედრების აღდგენის მიმართულებით.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მეშვეობით მართული „ცხელი ხაზი“ წარმატებით ფუნქციონირებს. აღნიშნული მექანიზმის საშუალებით ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა ხელს უწყობს საოკუპაციო ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე

ინციდენტებისა და დაძაბულობის პრევენციას და უმოკლეს ვადაში გარკვევა-გადაწყვეტას. „ცხელი ხაზის“ გააქტიურების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. 2018 წელს ზემოაღნიშნული მექანიზმი 2 182-ჯერ იქნა გამოყენებული.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. აღნიშნული ფორმატი მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის, რათა ადგილზე არსებული ვითარება ობიექტურად მიეწოდოს საერთაშორისო პარტნიორებს, თანათავმჯდომარეებს და შეხვედრის ყველა მონაწილეს. საანგარიშო პერიოდში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ოთხი რაუნდი გაიმართა (43-ე, 44-ე, 45-ე და 46-ე).

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეფექტურად თანამშრომლობდა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), რომელიც საქართველოში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაა. რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ EUMM-ს არ ეძლევა საშუალება, განახორციელოს მანდატით განსაზღვრული უფლება, აწარმოოს მონიტორინგი ოკუპირებულ რეგიონებში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უსაფრთხოების ვითარებას. აღნიშნულის მიუხედავად, EUMM (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან ერთად) მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში კვლავაც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით აქტიურად გრძელდება თანამშრომლობა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) და ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლობებთან; 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულების გამოძიების პროცესში კი - ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC).

უსაფრთხოების სამსახური ჩართულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ეგიდით ორგანიზებულ ე.წ. სამმხრივი საკოორდინაციო შეხვედრების ფორმატში, რომელიც 90-იანი წლების კონფლიქტებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა მოძიებას ითვალისწინებს. 2018 წელს ორი შეხვედრა გაიმართა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალურად განეიტრალების და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის პროცესებისთვის ხელშეშლის მიზნით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს. საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი მანდატის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას აცნობდა პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის

პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. 2018 წელს სამსახურმა საოკუპაციო ხაზზე მაღალი რანგის სხვადასხვა ოფიციალური პირებისა და მედიის წარმომადგენელთა 39 ვიზიტს გაუწია ორგანიზება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. 2018 წელს სამსახური აქტიურად ახდენდა საერთაშორისო ტერორიზმის ახალი გამოწვევების გამოვლენას და ინტენსიურად მუშაობდა მათთან გამკლავების გზების გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, ძირითად გამოწვევას ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო" („დაეში") და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებები წარმოადგენდნენ.

საანგარიშო პერიოდში „დაეში" მოქმედებას აგრძელებდა დასუსტებისა და ტერიტორიული დანაკარგების შემდეგ შემუშავებული ახალი სტრატეგიით. აღნიშნულის ფარგლებში „დაეშისთვის" პრიორიტეტული აღარ იყო მხარდამჭერების სირიასა და ერაყში მობილიზება. ტერორისტული ორგანიზაციის მოქმედების მთავარ იარაღად იქცა კონფლიქტის ზონის მიღმა ტერორისტული აქტების განხორციელება. „დაეში" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ რადიკალიზებულ პირებს ნებისმიერი საშუალებით ტერორისტული თავდასხმების განხორციელებისკენ მოუწოდებდა. აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, ინტერნეტსივრცისა და სოციალური ქსელების გამოყენებით, კვლავ აქტიურად ავრცელებდა საკუთარ იდეოლოგიას, ახდენდა პირების რადიკალიზაციასა და გადაბირებას.

2018 წელს „ალ-ქაიდა" და „თალიბანი" კვლავ წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტერორისტულ გამოწვევას. „ალ-ქაიდა" აქტივობებს, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის კონტინენტზე მოქმედი რეგიონული დაჯგუფებების მეშვეობით ახორციელებდა. „თალიბანი" განაგრძობდა ავღანეთის სამთავრობო ძალებსა და ქვეყანაში საერთაშორისო მისიით მყოფ სამხედროებზე თავდასხმებს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად ატარებდა ღონისძიებებს საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენის მიმართულებით. მიმდინარეობდა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მხრიდან საფრთხის შემცველი ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საქართველოში მცხოვრებ „დაეშის" შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა და გავლენა კიდევ უფრო

შემცირდა. ტერორისტული ორგანიზაციის იდეების ადგილობრივ მხარდამჭერებს არ აქვთ ორგანიზებულად და შეთანხმებულად მოქმედების შესაძლებლობა და არ ჰყავთ ე.წ. ლიდერი. წარსულში „დაეშის“ იდეების მიმართ მოწყვლადი ახალგაზრდები ამჟამად აღარ ინტერესდებიან ე.წ. “ისლამური სახელმწიფოს” იდეოლოგიით. ტერორისტული ორგანიზაციის წევრების თავისუფალი გადაადგილებისა და ფულადი სახსრების მოზიდვის შესაძლებლობის შეზღუდვის შედეგად „დაეშის“ იდეოლოგიის ადგილობრივი მხარდამჭერები მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს განიცდიან.

აღნიშნულის მიუხედავად, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში მცხოვრებმა ცალკეულმა პირებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ იდეებს, შესაძლოა, ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერების დავალებით იმოქმედონ. აღნიშნული პირების გამოვლენის, მათი დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

საყურადღებოა, რომ დღეისათვის საქართველოში არსებობს ექსტრემისტული შეხედულებების მქონე პირთა ჯგუფები, რომელთა მიზანს, ამ ეტაპზე, სახელმწიფოსთან დაპირისპირება არ წარმოადგენს. გამორიცხული არ არის, რომ მომავალში მათ საკუთარი კავშირები და ფინანსური შესაძლებლობები სხვადასხვა ექსტრემისტული ან/და ტერორისტული ჯგუფისა თუ ორგანიზაციის სასარგებლოდ გამოიყენონ. აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოქმედებს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად და ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში დადგინდა რამდენიმე პირი, რომლებიც ინტერნეტსივრცის, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, ტერორისტული ორგანიზაციების იდეებს ავრცელებდნენ. აღნიშნული პირების მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

2018 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სირიასა და ერაყში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. გასულ წელს სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს რამდენიმე მოქალაქე დაიღუპა, 20-ზე მეტი იბრძოდა ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში. აღნიშნული პირებისა და მათი ოჯახის წევრების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნების საფრთხესთან დაკავშირებით სამსახური განაგრძობს მუშაობას და განახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად 2018 წელს სირიასა და ერაყში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შესაბამისი ღონისძიებების გატარების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობის ფაქტები. აღნიშნულის მიუხედავად, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, გარკვეული გამოწვევები კვლავ არსებობს. ტერორიზმთან დაკავშირებული პირების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს საბაჟო და სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე გადაადგილება მკაცრად კონტროლდება, ასევე ხორციელდება სახელმწიფო საზღვრის კვეთის მუდმივი მონიტორინგი. მეთვალყურეობას ექვემდებარება მარშრუტები და არხები, რომელიც, შესაძლოა, ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად მოსახვედრად იქნეს გამოყენებული. ამ მიმართულებით საქართველო არ განეკუთვნება მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, შესაბამისად, ნებისმიერ ბრალდებას, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად გადაადგილების თვალსაზრისით უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ან/და ტერორიზმთან დაკავშირებული პირების განსაკუთრებული აქტივობის შესახებ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განიხილავს, როგორც მიზანმიმართულ პროვოკაციას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტერორისტული/ექსტრემისტული იდეების შესაძლო მხარდამჭერ საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქმიანობას. აღნიშნული მიმართულებით 2018 წელს გამოვლენილია რამდენიმე პირი. მათ მიმართ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ტერორისტული საფრთხეების კონტექსტში, საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და ადგილზე შექმნილი უკონტროლო ვითარება. რუსეთის საოკუპაციო ძალა და სპეცსამსახურები კვლავ ინარჩუნებენ შესაძლებლობას, მათი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განახორციელონ სხვადასხვა ტერორისტული აქტივობების ინიცირება/ინსცენირება.

გამოწვევებზე საპასუხოდ ინტენსიურად ხორციელდებოდა ტერორისტულ საფრთხეებზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ინფორმაციის გაცვლის მიზნით საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა. მიმდინარეობდა მუშაობა მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების უსაფრთხოების ზომების შეფასების, სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების პასპორტიზაციისა და რისკების ანალიზის მიმართულებით. აქტიურად ხორციელდებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური დანაყოფების თანამშრომლების მომზადება/გადამზადება.

საანგარიშო პერიოდში გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულებების 10 საქმეზე, ასევე

გაგრძელდა საგამოძიებო მოქმედებები 2017 წელს დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ასევე სხვა უწყებების ჩართულობით, შემუშავდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს 2019-2021 წლების ეროვნული სტრატეგია და სტრატეგიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიაში ნათლად არის წარმოდგენილი ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები, ასევე მათთან გამკლავების მიმართულებით სახელმწიფოს ერთიანი ხედვა, მისი მიზნები და ამოცანები. დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოხდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სტრატეგიულ პარტნიორებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაწეული ეფექტური საქმიანობის შედეგად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები. აღნიშნული დადებითად არის ასახული გაერო-ს, ევროკავშირისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობა მიმართული იყო უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობის, დაინტერესების სფეროების, მათ მიერ გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებების დადგენისა და შესაბამისი კონტრდაზვერვითი ღონისძიებების გატარებისკენ. ამასთან, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან კავშირში მყოფი ორგანიზაციების, ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფების მიერ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლენის, მათგან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, პრევენციისა და აღკვეთისაკენ.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სხვადასხვა აქტორების მხრიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები. კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, დესტაბილიზაციის, არეულობის ცალკეული კერების შექმნისა და საზოგადოების პოლარიზაციის მცდელობა, ეკონომიკური ექსპანსიის საფრთხე, ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობა.

2018 წელს საქართველოში გავლენის გაძლიერებით დაინტერესებული ქვეყნები საკუთარი მიზნების მისაღწევად აქტიურად იყენებდნენ „ჰიბრიდული ომის“ მეთოდებს.

უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტივობების განხორციელებისას მიზნად ისახავდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას; მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას; საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების გაუარესებას რეგიონის ქვეყნებსა და სტრატეგიულ პარტნიორებთან; საქართველოს, როგორც დემოკრატიული და სტაბილური ქვეყნის იმიჯის შელახვას; ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების მოპოვებას; მუდმივი შიდაპოლიტიკური დაძაბულობის ხელშეწყობას; საზოგადოებაში გაურკვევლობისა და ნიჰილიზმის დანერგვას.

„ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში დაინტერესებული მხარეების მიერ ხდებოდა დესტრუქციული პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების, ასევე მედია-საშუალებებისა და სოციალური ქსელების აქტიური გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში „ჰიბრიდული ომის“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა დეზინფორმაციული კამპანია. ყალბი ახალი ამბებით, ფაქტების დამახინჯებითა და ისტორიის გაყალბებით მიზანმიმართულად ხდებოდა მოსახლეობის პოლარიზაცია, მცდარი შეხედულებებისა და შიშის გავრცელება, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებით მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად დადგინდა, რომ უცხო ქვეყნები და მათი სპეცსამსახურები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტიურად იყენებენ კიბერსაშუალებებს. ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან რისკს ასევე წარმოადგენს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისა და მათ მიერ კონტროლირებადი ჰაკერული ჯგუფების მიერ სამთავრობო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე კიბერშეტევებისა და კიბერსადაზვერვო ოპერაციების განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ვითარების მონიტორინგს და შესაბამის ღონისძიებებს ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების, აღკვეთის, ასევე მათგან მომდინარე უარყოფითი შედეგების შემცირება-განეიტრალების მიმართულებით. გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად აღკვეთილ იქნა „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება.

2018 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ გრძელდებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ დაწესებული იყო მუდმივი მონიტორინგი ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დამრღვევ პირთა გამოვლენისა და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. აღნიშნული მიმართულებებით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 9 საქმეზე.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსული სამხედრო ძალების მხრიდან განხორციელებული სხვა არაკანონიერი ქმედებების გარდა, ადგილი ჰქონდა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ფარული ოპერაციების ჩასატარებლად გამოყენების მცდელობებს. აღნიშნული რეგიონებიდან მომდინარეობდა პროვოკაციული და დესტრუქციული ხასიათის ქმედებების ინსპირირებისა და დესტაბილიზაციის კერების შექმნის საფრთხე.

გასულ წელს გამოიკვეთა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების გარკვეული ქმედებები საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის მიმართულებით. უცხო ქვეყნებზე ორიენტირებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების გამოყენებით მიმდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოებას, ხელისუფლებასა და პოლიტიკურ სპექტრს შორის ნდობისა და ურთიერთთანამშრომლობის შემცირების პროცესის ხელშეწყობა. მუდმივი დაპირისპირების პროვოცირების მცდელობის ფონზე საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით ხდებოდა ჯანსაღი გეოპოლიტიკური ხედვის მიმართ ნეგატიური განწყობების შექმნა.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა უცხო ქვეყნების მიერ საქართველოში არსებული ეკონომიკური ბერკეტების საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების საფრთხე. უცხო ქვეყნების კომერციული ორგანიზაციები ცდილობდნენ, მათ ხელთ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობები ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით მანიპულირებისთვის გამოეყენებინათ.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის მიმართულებით. ქვეყნის თავდაცვის სისტემის ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების პროცესში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები აქტიურ ინტერესს იჩენდნენ თავდაცვის სფეროში არსებული ვითარების, მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების მიმართ. აღნიშნული მიმართულებით სამსახურის მიერ ტარდებოდა შესაბამისი კონტრდაზვერვითი ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფო ორგანოებში საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვას.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვისა და კონტროლის, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან ობიექტებზე აგენტურის ჩანერგვის, ტექნიკური შეღწევისა და სხვა ნეგატიური ქმედებების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით სარეჟიმო ობიექტებზე აქტიურად ხორციელდებოდა კონტრდაზვერვითი ღონისძიებები, პერმანენტულად ხდებოდა უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნული მიმართულებით 2018 წელს 77 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე გაიცა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება, ხოლო ოთხს უარი ეთქვა გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით.

სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მსურველ 3200-მდე ფიზიკურ პირზე განხორციელდა შემოწმების პროცედურა. 600-მდე პირზე განისაზღვრა ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი. 300-მდე პირს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებიდან გაეწია მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარება საიდუმლო საქმისწარმოებისა და საიდუმლო რეჟიმის დაცვის კუთხით.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით საანგარიშო პერიოდში სამსახურის მხრიდან მუდმივად მიმდინარეობდა ოპერატიული ვითარების მონიტორინგი და წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა საფრთხეების დროულად გამოვლენაზე და მათი განეიტრალების მიზნით ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებები. მუდმივად ხდებოდა შესაბამისი უწყებებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების დროული ინფორმირება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიგრაციის არხების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კვლავ მაღალია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველთა რიცხვი. ხშირ შემთხვევაში თანამემამულეების ან საქართველოს მოქალაქეების დახმარებით უცხოელები ახერხებენ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და ითხოვენ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით საქართველოში დარჩენის ნებართვის გაცემას.

სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა 1200-მდე პირი, რომლებიც ფიქციური დოკუმენტების საფუძველზე ცდილობდნენ საქართველოში ლეგალური ცხოვრების უფლების მოპოვებას. აღნიშნული პირების ქვეყნიდან გაძევების, ასევე ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით უსაფრთხოების სამსახური აქტიურად და კოორდინირებულად მოქმედებდა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად.

სამსახური 24-საათიან რეჟიმში ახორციელებდა საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილების მონიტორინგს. ქვეყანაში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე არ იქნა შემოშვებული უცხო ქვეყნის 139 მოქალაქე.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 21 საქმეზე. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 48 პირი.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

2018 წელს, გასული წლების მსგავსად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამოხელეო და კორუფციული დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებას.

კორუფცია მრავალი მიმართულებით ფუნდამენტურად აზიანებს ქვეყნის განვითარების პროცესს და რთულად გამოსასწორებელ ზიანს აყენებს სახელმწიფოსადმი ნდობას, ასუსტებს დემოკრატიას, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. კორუფციაში ჩართული საჯარო მოხელეები მოწყვლადები არიან უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიმართ.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მუშაობდა კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა არაერთი კონფერენცია, სემინარი და სამუშაო შეხვედრა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მოამზადა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის პირველი და მეორე ნახევრის ანგარიშები.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად არაერთი საჯარო მოხელე იქნა დაკავებული, მათ შორის, ქრთამის აღების ფაქტებზე - ქ. თბილისის საკრებულოს კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი; ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ცხვარიჭამიის ადმინისტრაციულ ერთეულში; სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე და საგარეჯოს რაიონის საკრებულოს სოფელ უჯარმის დეპუტატი.

ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებული იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი და მისი მოადგილე. ამავე სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიეცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დააკავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი, ხოლო დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე - შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე. ამავე სისხლის სამართლის

საქმის ფარგლებში, მთლიანობაში დაკავებულ იქნა აფთიაქების 5 მფლობელი და 14 დირექტორი. სულ პასუხისგებაში მიეცა 21 პირი, რომელთა მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისა და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 4 094 709 ლარი შეადგინა.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ირანის ისლამური რესპუბლიკის 7 მოქალაქე. ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში 2 097 000 ლარი შეადგინა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 71 საქმეზე, მათ შორის, ქრთამის აღების - 21, ქრთამის მიცემის - 3, თაღლითობის - 12, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების - 4, მითვისების ან გაფლანგვის - 4, სამსახურებრივი გულგრილობის - 13, სამსახურებრივი სიყალბის - 8 და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე. საანგარიშო პერიოდში ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 133 პირი.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე, ქბრბ უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეიარაღებაზე კონტროლი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. შავი ზღვის რეგიონში არსებული ბირთვული საფრთხეები, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება და უკრაინის მიერ წვდომის დაკარგვა ატომურ ელექტროსადგურებზე თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონში ბირთვული უსაფრთხოების რეჟიმზე და საჭიროებს განსაკუთრებულ საერთაშორისო ძალისხმევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში განთავსებული მოძველებული ატომური ობიექტები ასევე გარკვეული საფრთხის შემცველია.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მჭიდრო რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სფეროში სამსახურის მთავარი პარტნიორები არიან ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები. სამსახური წარმატებით აგრძელებს თანამშრომლობას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, გაერო-ს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორის ინსტიტუტთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ევროკავშირის „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივის“ მთავარი პარტნიორია საქართველოში. ინიციატივის მხარდაჭერით და სამსახურის აქტიური კოორდინაციის შედეგად 2018 წელს საქართველო ჩაერთო არაერთ მნიშვნელოვან რეგიონულ პროექტსა და სწავლებაში. აღნიშნულის მიზანს საქართველოს სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ერთობლივი ოპერაციებისა და ინციდენტების მართვის ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სამსახური, როგორც საქართველოს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი უწყება, აქტიურად ახორციელებდა 2015-2019 წლების ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ხელშეწყობას და შესაბამის კოორდინაციას. სამსახურის ორგანიზებით 2018 წლის 13 ივლისს ჩატარდა საკოორდინაციო საბჭოს ყოველწლიური სხდომა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმატებით აგრძელებს ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. საანგარიშო პერიოდში რადიოაქტიური ნივთიერებებისადმი უკანონო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე.

სამსახური ასევე წარმატებით აგრძელებს სახელმწიფო საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას. აღნიშნული სისტემების განვითარების მიზნით, აშშ-ის მხარდაჭერით, 2018 წელს ექსპლუატაციაში შევიდა “პერსონალური განგაშის სისტემის” განახლებული ვერსია, ასევე განხორციელდა „ეროვნული საკომუნიკაციო სისტემის“ ახალი ფუნქციების შემუშავება. აღნიშნულმა ხელი შეუწყო დამატებითი მონაცემების რეგისტრაციასა და დამუშავებას, ინციდენტზე რეაგირების დროის შემცირებას და ოპერაციულ-ტექნიკური მონიტორინგის უფრო ეფექტიან განხორციელებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ექსპერტული გამოცდილების გაზიარების მიზნით 2018 წელს სამსახურმა უმასპინძლა ბირთვული მასალების კონტრაბანდის აღკვეთის საკითხებზე გამართულ ფართომასშტაბიან სწავლებას “ლომის ფარი”. მასში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რვა ქვეყანამ.

ევროკომისიამ სწავლების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საქართველო საუკეთესო პარტნიორად დაასახელა.

ქბრბ უსაფრთხოების მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან. 2018 წელს სამსახურის თანაორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართა "თბილისის მესამე საერთაშორისო ფორუმი რეგიონული სტაბილურობისთვის".

რეგიონული თანამშრომლობის კუთხით ასევე მნიშვნელოვანი იყო 2018 წლის ნოემბერში უკრაინის უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი უწყებების დელეგაციის ტექნიკური ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოებისა და კონტროლის საკითხებში საქართველოს გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. ღონისძიება განხორციელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სფეროში მიღწეული წარმატებების მხრივ საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად ჩამოყალიბდა. ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო სახელმწიფო უწყებებს შორის ეფექტური კოორდინაციისა და წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია.

ანალიტიკური საქმიანობა

ქვეყნის წინაშე მდგარი საშინაო თუ საგარეო საფრთხეებისგან დაცვისა და მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში თანაცხოვრების უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანალიტიკურ მიმართულებებს და შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა ღია და დახურული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, რის საფუძველზეც ხდებოდა მიმდინარე და მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება, მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარებისა და ტენდენციების განსაზღვრა. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა ფაქტების შეფასების საფუძველზე, მიმდინარეობდა რეკომენდაციების შემუშავება საფრთხეებზე ეფექტური რეაგირებისა და მათგან მომდინარე უარყოფითი შედეგების განეიტრალების მიზნით. შესაბამისი კონტრ-ღონისძიებების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ხდებოდა მოვლენათა დამაბრკოლებელი ან ხელშემწყობი ფაქტორების დროული და სწორი პროგნოზირება.

ანალიტიკური საქმიანობის თვალსაზრისით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ გასულ წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებული ტერიტორიებიდან

მომდინარე საფრთხეებსა და აღნიშნულ რეგიონებში არსებულ ვითარებას, ტერორიზმთან დაკავშირებულ საერთაშორისო და შიდა გამოწვევებს, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობას, მათ მიზნებსა და ამოცანებს. ჰიბრიდული საფრთხეების მიმართულებით ხორციელდებოდა ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენებული კონკრეტული მეთოდების, საშუალებებისა და ინსტრუმენტების გამოვლენა, მათი კვლევა და შეფასება.

საანგარიშო პერიოდში უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური გუნდი აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტულ და სამეცნიერო წრეებთან. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდების დახვეწა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ანალიტიკოსთა გადამზადებას, რომლებმაც გაიარეს სხვადასხვა სპეციალური სასწავლო კურსი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების დახმარებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი ბაზის დახვეწა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპონენტს, სამართლებრივი ბაზის სრულყოფასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან და უზრუნველყოფდა მისი კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. სამსახურის მხრიდან ინსპექტორს შეუფერხებლად მიეწოდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად გამოთხოვილი ინფორმაცია.

2018 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ განხორციელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემოწმება, რომლის შედეგად სამსახურის მხრიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევა არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ინსპექტირება ორჯერ განხორციელდა. ინსპექტირების ფარგლებში უფლებამოსილ წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, რეალურ დროში დაკვირვებოდნენ სააგენტოს საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ინსპექტირების შედეგად დარღვევები არ გამოვლენილა. სააგენტოს მიეცა რეკომენდაციები და დავალებები ცალკეულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გარდა, რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი ზედამხედველობს, მათ შორის, ხორციელდება საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრისა და სასამართლო კონტროლი.

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, 2018 წელს საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის თავმჯდომარემ განახორციელა სააგენტოს შემოწმება. თავმჯდომარე გაეცნო სააგენტოს საქმიანობის ამსახველ მასალებსა და დოკუმენტებს, ასევე კონტროლის ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებას.

2018 წლის დეკემბერში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის ნდობის ჯგუფს წარუდგინა წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2017 წლის 1 დეკემბრიდან 2018 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდს.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი. 2018 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავდა და გამოიცა 157 ახალი სამართლებრივი აქტი. ამავე დროს სამსახურმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მომზადებულ 385 სამართლებრივი აქტის პროექტზე.

დაიხვეწა შიდასამსახურებრივი სამართლებრივი რეგულაციები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ პირთა უფლებების დაცვის მიზნით. ასევე განხორციელდა ცვლილებები უსაფრთხოების სამსახურში სამხედრო სამსახურის საკონტრაქტო სახით მოხდის შესახებ დებულებასა და სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსში, დაიხვეწა საიდუმლო ინფორმაციის სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის წესები.

აღსანიშნავია უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან. საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებს, შესაბამისი განჩინების საფუძველზე, სამსახურის მიერ შეუფერხებლად მიეწოდათ საქმეების განხილვისთვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები. 2018 წელს საერთო სასამართლოებში გაიგზავნა 894 ინფორმაცია/მტკიცებულება. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 48 სასამართლო საქმის განხილვაში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა საჯარო ინფორმაციის გაცემას. 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სამსახურში შევიდა 57 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა 35, შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა 5 და არ დაკმაყოფილდა 17 განცხადება.

2018 წლის 10 დეკემბერს სამსახურმა, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს წარუდგინა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში რეაგირება განხორციელდა როგორც მოქალაქეების, ისე სხვადასხვა უწყების/ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან შემოსულ 298 განცხადებაზე. დამუშავდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსულ ინფორმაციასა და 313 ელექტრონულ განცხადებაზე (info@ssg.gov.ge).

სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ssg.gov.ge) მუდმივად მიმდინარეობდა განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ დონეზე უწყებათაშორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას.

საანგარიშო პერიოდში სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან, საქართველოს დაზვერვის სამსახურთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სამთავრობო კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, მათ შორის, საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიებში, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე კომისიაში, ანტიკორუფციულ საბჭოში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობასა და სხვა უწყებათაშორის მექანიზმებში. სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და მათი განხორციელების პროცესში.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივითა და თავმჯდომარეობით შეიქმნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია. სამსახური ასევე ხელმძღვანელობს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კოორდინაციით, ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია მგზავრის წინასწარი მონაცემის (API) და მგზავრის სახელის ჩანაწერის (PNR) ერთიანი სისტემის შექმნა და აღნიშნულ პროცესში შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

2018 წელს სააგენტოს მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, ასევე უსაფრთხოების პროგრამული სისტემების შემუშავება/განვითარება.

სააგენტო აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო უწყებებისთვის სხვადასხვა პროექტის განვითარება-განხორციელებაში, მათ შორის, მოქალაქეებისთვის სერვისების მიწოდების გამარტივების მიზნით. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე სააგენტოს მიერ შექმნილი პროდუქტი გადაეცა ან მომსახურება გაეწია 4 სახელმწიფო ორგანოს და 14 კერძო სამართლის სუბიექტს.

2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ჩატარებულ არაერთ ერთობლივ ღონისძიებასა და უწყებათშორის აქტივობაში.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და წარმომადგენლების ინფორმირება უსაფრთხოების საკითხებზე. ყოველწლიურ შეხვედრაზე „ელჩების კონფერენცია 2018“ - „ამბასადორიალი“ საქართველოს ელჩებს სხვადასხვა ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციაში სამსახურის უფროსმა მიაწოდა ინფორმაცია უსაფრთხოების მიმდინარე გამოწვევებისა და ამ მიმართულებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

საერთაშორისო თანამშრომლობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის წარმატებას დიდწილად განსაზღვრავს პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სტრატეგიულ პარტნიორებთან, მეგობარ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

2018 წელს სამსახურის ინიციატივით ხელი მოეწერა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ მთავრობათშორის შეთანხმებებს 3 ქვეყანასთან (ალბანეთი, იტალია, მოლდოვა). ანალოგიური ორმხრივი შეთანხმებები გაფორმებულია 23 სახელმწიფოსა და ევროკავშირთან. აღნიშნული მიმართულებით ინიცირებულია რამდენიმე შეთანხმების პროექტი და გრძელდება აქტიური კონსულტაციები.

სამსახური განაგრძობს ინტენსიურ თანამშრომლობას საქართველოში აკრედიტებული ქვეყნების ატაშეებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. აღნიშნული ფორმატის ეფექტური გამოყენებით საანგარიშო პერიოდში სისტემატურად მიმდინარეობდა პარტნიორ ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მჭიდრო თანამშრომლობას. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აშშ-ის მთავრობის შესაბამის უწყებებთან გრძელდებოდა აქტიური მუშაობა და კოორდინაცია სხვადასხვა ფორმატში. 2018 წელს ძალაში შევიდა აშშ-თან გაფორმებული შეთანხმება ტერორისტების შემოწმების ინფორმაციის გაცვლის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო აღნიშნული მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

სამსახურის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაში. ტერორიზმის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველო შეფასებულია, როგორც შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორი უსაფრთხოების სფეროში.

მნიშვნელოვანი იყო 2018 წელს ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერების მიზნით განხორციელებული აქტივობები. სამსახური ჩართული იყო ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (OLAF) პროგრამაში, სხვადასხვა პროექტის განხორციელებასა და შემუშავებაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები მონაწილეობას იღებდნენ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის და სათანადო დოკუმენტების შემუშავების პროცესში, ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში. ამავე დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის სტრატეგიული დიალოგის მეორე შეხვედრაში.

2018 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით სფეროში საქართველოსა და ევროპოლს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით. საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმსა და „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმებას, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამსახურის ექსპერტები.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს მიერ უსაფრთხოების სფეროში განხორციელებულ აქტივობებში, მათ შორის, ევროსაბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) შეხვედრებსა და ევროკავშირისა და

ევროსაბჭოს ერთობლივ პროექტში „საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუტების გაძლიერება“. სამსახური წარმოდგენილია ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის დამატებითი ოქმის საფუძველზე შექმნილი ეროვნული საკონტაქტო პირების 24/7 თანამშრომლობის ქსელში.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩართულია მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. საანგარიშო პერიოდში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის“ და „ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინიციატივის“ (GICNT) ფარგლებში გამართულ აქტივობებში. ეფექტურად გამოიყენებოდა ინტერპოლთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.

გაერო-სთან თანამშრომლობის მიმართულებით საანგარიშო წელს სამსახურის წარმომადგენლები ინტენსიურად იყვნენ ჩართული გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტისა და სხვა ფორმატების ფარგლებში გამართულ შეხვედრებში და ახდენდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებას საქართველოს გამოცდილების შესახებ. 2018 წლის ივლისში სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის შემფასებელი დელეგაციის ვიზიტი საქართველოში. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულების მონიტორინგი. დელეგაციამ საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დადებითად შეაფასა და ამ მიმართულებით ქვეყნის პროგრესი შესაბამისად აისახა კომიტეტის ანგარიშში.

სამსახური მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავებას. 2018 წლის განმავლობაში, გასული წლების მსგავსად, უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაციის პროცესში და წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში.

ადამიანური, მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსური რესურსები

ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა და აღნიშნულ პროცესში შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

უსაფრთხოების სამსახურის სტრატეგიული მიდგომაა საუკეთესო კადრების მოზიდვა, მათი მოტივირება და კარიერულ წინსვლაში ხელის შეწყობა, ასევე პროფესიონალი კადრების მაქსიმალურად შენარჩუნება. სამსახური დასაქმების თანაბარი

შესაძლებლობებით უზრუნველყოფს კანდიდატებს განურჩევლად მათი ეროვნების, ეთნიკური, რელიგიური თუ გენდერული კუთვნილებისა. თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან მაღალი სტანდარტების სამუშაო პირობებით და სათანადო სოციალური პაკეტით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უწყებაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 3224 მოსამსახურეს, მათ შორის, ქალი - 415 (12,9%), ვადიანი სამხედრო მოსამსახურე – 359, ხოლო ხელშეკრულებით (შტატგარეშე) - 218.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით.

2018 წელს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობდნენ სპეციალური მომზადების სხვადასხვა პროგრამებსა და სწავლებებში, მათ შორის, ოპერატიულ თანამშრომელთა სპეციალური მომზადების, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების, ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამუშაოდ მისაღები და მიღებული წვევამდელებისა და უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამებში, ასევე სნაიპერთა მომზადებისა და გადამზადების კურსებში, ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური დანაყოფების თანამშრომლების ტაქტიკური მოქმედებების, განაღმვითი სამუშაოებისა და სხვა შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით ჩატარებულ სწავლებებში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გამართულ სასწავლო კურსებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობით ჩატარებული სწავლებები.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP), ასევე საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისისა და ნატო-ს პარტნიორობის კოორდინაციის მენიუს (PCM) ფარგლებში ჩატარებულ სასწავლო პროგრამებსა და გადამზადების კურსებში.

მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად ცდილობს მათ წახალისებასა და მოტივირებას. 2018 წლის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მხრიდან 1392 მოსამსახურე სხვადასხვა ფორმით იქნა წახალისებული, მათ შორის, სამსახურის მედლით, სიგელითა და სამკერდე ნიშნით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ სისტემატურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის შიდა

სამსახურებრივი შემოწმება. 2018 წელს სისტემაში გამოვლინდა ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტები და განხორციელდა სათანადო რეაგირება. 212 სამსახურებრივი შემოწმებისა და მომზადებული დასკვნების საფუძველზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის დაეკისრათ 134 დისციპლინური სახდელი (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა - 8, თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 1, სასტიკი საყვედური - 19, საყვედური - 12, შენიშვნა - 4 და ა.შ.). ამასთან, 2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 6 საქმეზე.

უსაფრთხოების სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების ჯეროვანი შესრულებისთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მის განახლებას.

2018 წლის საბიუჯეტო სახსრებით უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 387 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 22 156 177 ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამშენებლო–სარემონტო სამუშაოს შესასრულებლად სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებული იქნა 1 383 877 ლარის ღირებულების 13 ხელშეკრულება.

2018 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადებული იყო 219 ტენდერი. ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 194 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ეკონომიამ შეადგინა 1 013 430 ლარი.